

ქეთევან ჯაში

ფრანგული

არბო

Lingua
Plus

§1. არგო ლინგვისოციალური მოვლენა

არგო სოციალური მოვლენაა. იგი რომელიმე სოციალური ჯგუფის ენაა. არგო წარმოიქმნა XVI საუკუნეში, თუმცა ჯერ კიდევ XIII საუკუნეში ძველ ტექსტებში მოიხსენება ჟარგონული სიტყვები. თავისი ეტიმოლოგიით არგო აღნიშნავდა არა ენას, არამედ მათხოვართა გაერთიანებას, რომელსაც პარიზის უბანში «Cour des Miracles» ანუ სასწაულების სამეფო ერქვა. თვით მას ჟარგონი ეწოდებოდა, მოგვიანებით არგო.

არგო-ეს ქურდული სამყაროს მეტყველებაა, რომელიც გასაგებია მხოლოდ მათთვის, ვინც მასზე ლაპარაკობს. არგო დაბალი სოციალური ფენის სიმბოლიზებას ახდენს. არსებობს საზოგადოებრივი წრე, სადაც არგოს გამოყენება ჭეშმარიტ სოციალურ ტაბუს წარმოადგენს.

ლამბროზო წერდა: «ეს ქურდული ენაა, რომელსაც უწოდებენ «langue verte» ანუ ქურდული ენა, (verte-ნიშნავს მწვანეს. მწვანე ხალიჩის გარშემო იკრიბებოდნენ სხვადასხვა ჯურის ადამიანები), რომელიც თავისი სინონიმის გამო განაგრძობს სრულყოფას» (9, 14). ჟან პიშოშისათვის არგო არის ბოროტმოქმედთა ჟარგონი (22, 109).

თავისებური შეხედულება აქვს ამ საკითხთან დაკავშირებით ფრანსუაზ გადეს: «ტერმინი არგო მხოლოდით რიცხვში აღნიშნავს ქურდების ლექსიკას, მრავლობითში კი ლექსიკას, რომელზეც რომელიმე პროფესიული ჯგუფი ლაპარაკობს» (8, 103).

ალბერ დოზა წერდა: «ლინგვისტიკისათვის არგო ესაა ბოროტმოქმედთა მეტყველება, ის აღნიშნავს სპეციალურ მეტყველებას რომელსაც თავისებური ნიშნები აქვს» (3, 5).

დღეს ორი ტერმინი გამოიყენება ჟარგონი და არგო, რომლებიც მონაცვლეობით ერთი და იმავეს აღნიშნავენ. არგო, ესაა ბოროტმოქმედთა ენა, მაშინ როდესაც ჟარგონი არის ან გაუგებარი ენა, ანდა რომელიმე ჯგუფის განსაკუთრებული მეტყველება, რომელიც ხასიათდება თავისი რთული ბუნებით, ზოგიერთი სიტყვისა თუ გამონათქვამის თავისებურებებით. არგო სპეციალური ენაა, რომელიც საზოგადოების შიგნით ისეთ როლს ასრულებს, რომელსაც ლიტერატურული ენა თამაშობს სხვა საერთო ენების მიმართ.

ფრანსისკ მიშელი წერდა: “სიტყვა არგო ბერძნულიდანაა წარმოქმნილი. არგოს-ნიშნავს ზარმაცს, ვინც ეწევა უდარდელ ცხოვრებას, ვისაც არა აქვს არც სამუშაო, არც ხელობა. არგოს ჟარგონი უწოდეს და ასეთი ხალხი, მას ერთმანეთში საუბრის დროს იყენებდა” (2, 4).

ფრანსუაზ გადესათვის არგო, დიდი ხანია არის მხოლოდ ბანდებში გაერთიანებულ ბოროტმოქმედთა ენა. ტერმინი არგო, აღნიშნავს თავისი ეტიმოლოგიით მათხოვართა ერთიანობას, შემდეგ მათ ენას (8, 7).

საზოგადოების ყველა კლასს თავისი არგო გაააჩნია და სწორედ ამ თვალსაზრისით მისი შესწავლა მეტად საინტერესოა, ერთდროულად როგორც უცნაური და როგორც ლინგვისტური მოვლენისა.

ლორედან ლარშე წერდა: «ბევრს ჰგონია, რომ არგო ეს მხოლოდ ქურდების ენაა. ჭეშმარიტება კი იმაშია, რომ მისი გამოყენების სფერო უფრო ღლია. ამაში გვარწმუნებს მისი ეტიმოლოგია» (16, 2).

გასტონ ენოსათვის არგო ეს იმ ხალხის ენაა, რომელსაც სურს ხუმრობა, სიცილი, რომლებიც ლაპარაკობენ იმიტომ, რომ არ იფიქრონ» (4, 566).

მეტყველება, როგორც ნებისმიერი სოციალური აქტი, გულისხმობს შეთანხმების სისტემას, რომელიმე ჯგუფის წევრებს შორის. ამ თვალსაზრისით ის აუცილებლად განიცდის ამ გაერთიანების მხრიდან ზოგიერთ აკრძალვას.

დენის ფრანსუა უეიუერი თვლიდა, რომ არგო საიდუმლო, გასართობი, ემოციური, დაკავშირებულია ტაბუსთან. მისადმი ხშირად საზოგადოებას ცუდი დამოკიდებულება აქვს (7, 26).

ჟან პიშოში თვლიდა, რომ ჭეშმარიტი არგო თავისი მუდმივი განახლებით არის ბოროტმოქმედთა ჟარგონი, რომელიც ცდილობს, რომ საზოგადოების სხვა ნაწილისაგან იზოლირებული დარჩეს. არგო კარგავს თავის სტატუსს, როგორც კი მიაღწევს საზოგადოების ფართო ფენებს (22, 109).

არგო მიუხელოვებელი, შეუსწავლელი, მოუთვინიერებელია. იგი არ ემორჩილება, საერთო წესებს. ის ფანტაზიის ნაყოფია. ბიბლიური სულის მსგავსად, უბერავს იქ სადაც მას სურს. პირველ რიგში არგოზე რომ ილაპარაკო, არგოს ხმა უნდა გქონდეს. ეს რაღაც მოუხელოვებელია, თავისებური რომელიც ერთდროულად გულისხმობს ფამილარულობას და გულგრილობას-აღნიშნავდნენ ჟან ლერმინა და ანრი ლეველი (18, 1).

არგო, როგორც ყოველი მეტყველება მთლიანობაში, კოლექტიური წარმონაქმნია, რომელსაც არა აქვს გააზრებული თავისი ხერხები, რომლებიც ექვემდებარება მრავალ ფსიქოლოგიურ თუ გარეგნულ ფაქტორს, რომელიც არ გამომდინარეობს ინდივიდუალური სურვილიდან.

XIX საუკუნის ბოლოსათვის არგო კვლავ მათხოვართა, მოხეტიალეთა, ქურდების ენა იყო. მარუზოსათვის, არგო სპეციალური ენაა, რომელიც მდიდარია ლექსიკური შემადგენლობით, რომელსაც იყენებს ერთი ჯგუფის ანდა

ერთი სოციალური კატეგორიის წევრები, იმ მიზნით, რომ თავი გამოეყონ მოსაუბრე სუბიექტთა მასისაგან (12, 6).

აღფრედ ნისეფორო ასე განსაზღვრავს არგოს: «ეს სპეციალური ენაა, რომელიც პირობითად საიდუმლო ენად რჩება. იგი ქმნის ყოველთვის გაუგებარ სიტყვებსა და ფრაზებს, როდესაც ამის აუცილებლობაა, რადგან მისი მიზანი მდგომარეობს ძირითადად იმაში, რომ დაიცვას არგოზე მოლაპარაკე ჯგუფის წევრები» (12, 9).

არგოს არსი იმაშია, რომ იყოს ნიშანი, ლაპარაკის განსაკუთრებული ფორმა, რომლითაც ინდივიდი და ადამიანთა ჯგუფები ერთმანეთისგან განსხვავდებიან.

ის არგო, რომელსაც ჩვენ ვსწავლობთ, ესაა საზოგადოებისათვის საშიში კლასების სპეციალური ენა. უკიდურესი აუცილებლობა აიძულებს ამ ენას, რომ წარმოქმნას ახალი ფორმები. ეს ხელოვნური ენა განკუთვნილია იმისათვის, რომ გაუგებარი იყოს სხვა ჯგუფის წევრებისათვის.

არგო ცდილობს იყოს სოციალური თავდაცვის საშუალება, საიდუმლო ხასიათი არის მისი წარმოქმნის აუცილებელი პირობა. არგო სოციალურ კონტექსტში არის, იმ ადამიანთა ჯგუფის ზეპირი მონაწილეობის შედეგი, რომელზეც ემყარება თვით სოციალური ჯგუფის არსებობა.

არგო არ რჩება დახურული იმ სამყაროში, რომელმაც იგი შექმნა, ის ვრცელდება როგორც ავადმყოფობა, თქვა ჰიუგომ (22, 263). თითოეულ ქვეყანას(მხარეს) თავისი არგო აქვს, – წერდა ბალზაკი–რამდენი პროფესიაცაა, იმდენი არგოა. ნებისმიერ პროფესიას, სახელოსნოს, კლუბს, კაფეს, კვარტალს, თავისი არგო გააჩნია. გარდა იმისა, რომ არგო რომელიმე საზოგადოების წრისთვისაა დამახასიათებელი, არსებობს არგო სეზონური პროფესიისათვისაც.

ს. ულმანი თვლიდა, რომ სოციალური ჯგუფების ჩამოყალიბება ლინგვისტური გაერთიანების შიგნით, ხშირად სემანტიკური ცვლილებების მიზეზია. ცნობილია, რომ ყოველ პროფესიას, ხელობას, თვით თვითოეულ ოფისს, სახელოსნოს თუ მეურნეობას, თავისი სპეციალური მეტყველება აქვს, რომელიც საერთო ინტერესებს და მეტ-ნაკლებად ინტიმურ და ხანგრძლივ კონტაქტებს ემყარება (22, 246). არგო ზრუნავს იმაზე, რომ გაძლიერდეს ჯგუფის ერთიანობა და გამოირიცხოს ყოველი მისთვის უცხო პიროვნება.

არგო-მეტყველებას განეკუთვნება. იგი გამოირჩევა თავისი ჰეტეროგენულობით. ლიტერატურულ ენასთან შედარებით, მასში უფრო მეტი საინტერესო ნიშნებია. სოციოლოგიური თვალსაზრისით, თავისებური მიზიდულობის ძალა აქვს. ის აკრძალული ხილია.

ჟანიკო წერდა: «არგო საქეიფო მეტყველებაა, აკორდონის რიტმის თანხლებით» (13, 1). ის არსებობს და გავრცელებულია საზოგადოების ყველა წრეში, სპონტანურად იქმნება, არაკონტროლირებადია. ახასიათებს ვულგარულობა. ეს ვულგარულობა, ლინგვისტური ტაბუს საწინააღმდეგო თვისებაა. ის მუდმივ ცვლილებას განიცდის, მოითხოვს მუდმივ დამატებით მომზადებას.

მეტყველება დაკავშირებულია საზოგადოების ცხოვრებასთან. იგი უნივერსალურია ისე, რომ იგი იდენტური არაა საზოგადოების სხვადასხვა წრისათვის. ბაზილ ბერნსტაინი ასე ხსნიდა ამას: «სოციოლოგიის თვალსაზრისით, სოციალური კლასი განსაზღვრავს სიღრმისეულად სოციალიზაციის ფორმებს. კლასების სისტემა ზემოქმედებს საზოგადოების წევრებს შორის ცოდნის გავრცელებაზე. სოციალური კლასის ზემოქმედება შედის სამ ძირითად განზომილებაში: ცოდნა, მოქმედების შესაძლებლობა, დისტანცია და ჯგუფების დაპირისპირებულობა» (22, 230).

არგო ისეთ იზოლირებულ ჯგუფებში გამოიყენება, რომლებიც ინაწილებენ საერთო ცხოვრების წესს, სოციალური და ისტორიული პირობების მიხედვით. სხვადასხვა ჯგუფების არსებობა განსაკუთრებით სიცოცხლისუნარიანია არეულობის დროს (7, 91).

არგო წარმოიქმნება სხვადასხვა კილოკავებიდან, სხვადასხვა წყაროებიდან, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალურ საქმიანობასთან. სოციალური თვალსაზრისით, არგოს გაჟონვა კილოკავებში, ესაა გაგლენის სფერო, იმის მაჩვენებელი, თუ როგორ იზიდავდა დიდი ქალაქი სოფელს გასული საუკუნის დასაწყისიდან. მარუზო წერდა: «ჩვეულებრივ ენაში არჩევენ ისეთ კილოკავებს, რომელიც განსაზღვრულია, ჰარმონიულია, როგორიცაა ერთი მხრივ, სასაუბრო ენა და მეორე მხრივ რთული კილოკავი, როგორიცაა ინტელექტუალთა ენა, რომელიც ხშირად ფამილარული სიტყვებისა და ტექნიკური სიტყვების ნარევია» (19, 182).

უფრო ფართო გაგებით არგოს უწოდებენ ხშირად ყველა სპეციალურ ენას, რომელიც შეზღუდული სოციალური ჯგუფისთვისაა დამახასიათებელი.

ენა ცოცხლობს და იცვლება უფრო მეტად სოციალური ზეწოლით, ვიდრე შიდა ლინგვისტური ტრანსფორმაციული თამაშით. ახალი წარმონაქმნების აღმოჩენა და არგოს ლექსიკური ერთეულების გამოყენება რომელიმე ჯგუფში, საშუალებას გვაძლევს უკეთესად გავეცნოთ მისი არსებობის მასშტაბს, რომელიც მისი წევრების მიერაა შექმნილი.

როგორც ზემოთ იყო ნახსენები, თითოეულ პროფესიას თავისი არგო აქვს. ჟან ლაკასანი და პიერ დევიო ამას ასე ხსნიდნენ: «რადგან ფრანგულ ენაში არ

არსებობს სიტყვები, რომლებიც გამოხატავს განსაკუთრებულ (თავისებურ) საგნებს ანდა მოქმედებას, რომელიც მოცემულ ინდივიდთა სოციალური კატეგორიისთვისაა ჩვეული, ამ დროს წარმოიქმნება არგოტული სიტყვები, რათა «უმიკურნალონ» ენის ამ ნაკლს» (14, 19). ანსხვავებენ პროფესიულ და სოციალურ ჟარგონებს. პროფესიულია ის სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც გავრცელებულია სხვადასხვა პროფესიის მქონე ადამიანების მეტყველებაში. სოციალურმა ჟარგონმა მიიღო არგოს სახელწოდება. ადრე იგი დეკლასირებული ელემენტების მეტყველება იყო. ახლა ესაა ის ლექსიკა, რომელიც საერთო გამოყენების სიტყვების პარალელურად გამოიყენება. იგი მეტადაა გაჟღერებული სპეციალური სიტყვებითა და გამონათქვამებით.

სოციალური არგო - ეს სოციალური დიალექტია. სოციალური დიალექტოლოგია სოციალური ლინგვისტიკის ნაწილია. სოციალური დიალექტების არსებობა ენასა და საზოგადოებაში ენის სოციალური არაერთგავროვნების მკაფიო გამოხატულების მაგალითია. ბონდალექტოვი თავის ნაშრომში «რუსული არგოს ტიპოლოგია და გენეზისი» წერს, რომ სოციალური დიალექტები ხასიათდება 2 განსხვავებული ნიშნით:

1. ყველა სოციალური დიალექტის მატერიალური არსი მდგომარეობს ლექსიკურ, ლექსიკო-ფრაზეოლოგიურ სისტემაში;

2. სოციალური დიალექტები არასოდეს არაა ურთიერთობის ერთადერთი საშუალება.

სოციალური დიალექტების ტიპებია:

1. თვით პროფესიული დიალექტები;

2. ჯგუფური ან კორპორაციული ჟარგონები (სტუდენტური, მოსწავლეთა, სპორტული);

3. პირობითი ან საიდუმლო ენები (არგო), ხელოსნების, ვაჭრების, ასევე მასთან ახლო მყოფი სოციალურ-პროფესიული ჯგუფებისა;

4. ქურდული ჟარგონი (დეკლასირებული მეტყველება).

არც პროფესიული და არც ტერიტორიული ფაქტორები, არაა გადამწყვეტი არგოს შორის მსგავსებისა თუ განსხვავების შესაქმნელად. არგოს მსგავსება არის მათი წარმოშობის შედეგი.

ტერმინი არგო, დღეს გულისხმობს ენას, რომელიც შეზრდილია ფრანგულთან, ანდა ქმნის სიტყვებს, რომელთაც შეცვლილი აქვთ ჩვეულებრივ

თავიანთი მნიშვნელობა. არგო აღრე მეტყველება არ ყოფილა, ეს იყო მონარქია,
სახელმწიფო სახელმწიფოში.